სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი”

მანქანების შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების (**CPV 50112000**) შესყიდვის

სატენდერო დოკუმენტაცია

ქ. თბილისი 2016 წელი

ს ა რ ჩ ე ვ ი

1. ინფორმაცია ტენდერში მონაწილეთათვის

2. საკვალიფიკაციო მოთხოვნები

3. ტექნიკური დავალება

4. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტი

5. დამატებითი ინფორმაცია

1. ინფორმაცია ტენდერში მონაწილეთათვის

სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონულ სისტემის საშუალებით შესყიდვის პროცედურები ხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის” შესაბამისად. ინსტრუქტაჟი შესაძლებელია ასევე იხილოთ **http://procurement.gov.ge**

2. საკვალიფიკაციო მოთხოვნები

2.1. იურიდიული პირისა და ინდივიდუალური მეწარმისათვის:

- ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან (მოთხოვნილი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს" ოფიციალური ვებ-გვერდის მეშვეობით შეუძლებელია პრეტენდენტის შესახებ შესაბამისი ინფორმაციის სრულყოფილად მიღება);

ასეთ შემთხვევაში „შემსყიდველის" მოთხოვნაში გათვალისწინებული ადმინისტრაციული ორგანოდან წარმოსადგენი დოკუმენტი გაცემული/მომზადებული უნდა იყოს "ტენდერი გამოცხადებულია" სტატუსის მინიჭების შემდეგ.

2.2. ფიზიკური პირებისათვის:

- პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი;

2.3. აღნიშნული დოკუმენტები გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილ უნდა იქნეს ელექტრონული ვაჭრობის დამატებითი რაუნდების დასრულების შემდეგ „შემსყიდველის" მოთხოვნის შემთხვევაში და შესაბამისად.

2.4. ფიზიკური პირისთვის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის, ხოლო ინდივიდუალური მეწარმისა და იურიდიული პირისათვის მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერის მოთხოვნის მიზანია პირის იდენტიფიკაცია, ხოლო ინდივიდულური მეწარმისა და იურიდიული პირის შემთხვევაში, ასევე სახელმწიფო შესყიდვების პროცესში მესამე პირებთან საწარმოს წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირების დადგენა.

2.5. პრეტენდენტის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა ხდება მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

3. ტექნიკური დავალება

3.1. გამარტივებული ელექტრონული ტენდერის შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს **მანქანების შეკეთება და ტექნიკური მომსახურება (CPV 50110000).**

3.2. მომსახურება ეხება შემსყიდველის ბალანსზე რიცხულ, **№1 დანართში** მითითებულ ავტომანქანებს.

3.3. მომსახურების მიწოდება განხორციელდება სატენდერო და ტექნიკური დოკუმენტაციებითა და ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

3.4. შესყიდვა ხორციელდება პრეისკურანტის საფუძველზე დღგ-ს გათვალისწინებით.

3.5. პრეტენდენტმა სატენდერო წინადადებაში უნდა მიუთითოს არის თუ არა დღგ-ს გადამხდელი. დღგ-ს არგადამხდელი პრეტენდენტის მონაწილეობის შემთხვევაში, მის მიერ დღგ-ს გარეშე ფასის წარმოდგენისას, გამარჯვებულის გამოვლენისათვის, პრეტენდენტთა ფასების შედარება მოხდება დღგ-ს გამოკლებით.

3.6. ზემოაღნიშნულ 3.6. პუნქტში მითითებული მომსახურების პრეისკურანტი წარმოდგენილი უნდა იყოს წინამდებარე დოკუმენტაციის **№2 დანართის** შესაბამისად, რომელიც ასევე ატვირთულია სისტემაში, როგორც წინამდებარე დოკუმენტაციის განუყოფელი ნაწილი.

3.7. პრეტენდენტის მიერ სისტემის მეშვეობით წარდგენილი წინადადების ფასი არ უნდა აღემატებოდეს პრეისკურანტის სავარაუდო ღირებულებას.

3.8. პრეტენდენტმა სავალდებულოდ უნდა წარმოადგინოს დასაბუთება ფასწარმოქმნის ადეკვატურობის შესახებ იმ შემთხვევაში, თუ ტენდერში ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტით დაბალია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე. ადეკვატურობა შესაძლებელია დასაბუთდეს სსიპ ”ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს” ან სხვა, შესაბამისი აკრედიტაციის მქონე პირის მიერ გაცემული ექსპერტიზის დასკვნით, ან/და შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებით პრეტენდენტის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებით, ან/და ანგარიშ-ფაქტურით (ინვოისით) ან/და მომსახურების ღირებულების რეალობის ამსახველი სხვა ისეთი დოკუმენტაციით, რომელიც დაადასტურებს პრეტენდენტის მიერ დაფიქსირებულ ფასად ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობას.

3.9. პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილ პრეისკურანტში ერთეულის ღირებულებები არ უნდა აღემატებოდეს წინამდებარე დოკუმენტაციის **№2 დანართში** შესაბამის პოზიციებზე მითითებული ერთეულის ზღვრულ ღირებულებებს.

3.10. ტენდერის დასრულების შემდეგ, ვაჭრობის დამატებითი რაუნდების შედეგად დაფიქსირებული საბოლოო ღირებულებიდან გამომდინარე, შესყიდვის ობიექტის ცალკეული შემადგენელი ერთეულის შესყიდვის ღირებულება ჩამოყალიბდება (შემცირდება) მხარეთა შეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში იგი შეიცვლება (შემცირდება) ვაჭრობის შედეგად დაფიქსირებული საბოლოო (შემცირებული) სატენდერო ღირებულების პროპორციულად (პროცენტულად).

3.11. პრეისკურანტში მომსახურების რომელიმე ერთეულის არარსებობისას, აღნიშნული ერთეულის ფასი, მისი შესყიდვის აუცილებლობისას, დგინდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის შეთანხმებით, საბაზრო ფასის გათვალისწინებით. ასეთ შემთხვევაში, პრეისკურანტში მომსახურების რომელიმე ერთეულის არარსებობით გამოწვეული შესყიდვის ხვედრითი წილი არ შეიძლება აღემატებოდეს მიმწოდებლის მიერ ელექტრონული ვაჭრობის შედეგად დაფიქსირებული პრეისკურანტის საბოლოო ჯამური ღირებულების 10%-ს.

3.12. მომსახურება უნდა განხორციელდეს მაღალი ხარისხითა და შესაბამისი პირობებით (მათ შორის დეფექტური აქტების შედგენა, მომსახურების განხორციელების ვადები, მომსახურებისა და ნაწილების/აგრეგატების გარანტიები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და ა.შ.), რომელიც განისაზღვრება ხელშეკრულებით.

კონკრეტულ შემთხვევაში, მომსახურების გაწევა ხორციელდება ,,შემსყიდველის" გაფრთხილებიდან არაუგვიანეს მე-2 დღისა, სამღებრო-სათუნუქე სამუშაოების შემთხვევაში-არაუგვიანეს 20 დღისა. თუ მომწოდებლის მიერ გაწეული მომსახურება იქნება არასრულყოფილი (უხარისხო) და/ან შეცვლილი ნაწილი აღმოჩნდება წუნდებული, მომწოდებელი ვალდებულია ხარვეზი აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით, შეცვალოს იგი იგივე ტიპის, ხარისხისა და ღირებულების ხარისხიანი საქონლით. სათადაროგო ნაწილები და საცხებ-საპოხი მასალები უნდა იყოს ახალი, მაღალი ხარისხის, არამეორადი.

ინფორმაცია სათადაროგო ნაწილების შესახებ, წინასწარ უნდა შეთანხმდეს შემსყიდველის წარმომადგენელთან. გაწეულ მომსახურებასა და სათადარიგო ნაწილებზე (დეტალებზე) უნდა ვრცელდებოდეს არანაკლებ 6 (ექვსი) თვიანი საგარანტიო ვადა, ხოლო ძირითად აგრეგატებზე (ძრავი, ხიდი, გადაცემათა კოლოფი)-1 (ერთი) წლიანი საგარანტიო ვადა.

3.13. მომსახურების შესრულების უზრუნველსაყოფად, ,,მიმწოდებელს" თბილისში უნდა გააჩნდეს ერთი ან ერთზე მეტი სერვისცენტრი, სადაც მოქმედებაში იქნება არანაკლებ 6 (ექვსი) ამწევი ლიფტი. ინფორმაცია ამ სერვისცენტრ(ებ)ის ადგილმდებარეობის შესახებ თან უნდა ახლდეს მიმწოდებლის ტექნიკურ დოკუმენტაციას.

3.14. მომსახურების ღირებულების ანაზღაურება მოხდება შემსყიდველის მიერ მოთხოვნილი და ფაქტიურად მიწოდებული მომსახურების ღირებულების მიხედვით, მიღება-ჩაბარების შესაბამისი დოკუმენტის საფუძველზე, საგადასახადო/საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში. წინასწარი გადახდის წესი არ გამოიყენება.

3.15. სატენდერო წინადადება ძალაში უნდა იყოს შემდეგი ეტაპების დადგომამდე: „ხელშეკრულება დადებულია", "დასრულებულია უარყოფითი შედეგით" ან "ტენდერი შეწყვეტილია".

3.16. სატენდერო წინადადების წარდგენით, მიმწოდებელი ავტომატურად ეთანხმება სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილ პირობებს/მოთხოვნებს. ამასთან, პრეტენდენტს შეუძლია წარმოადგინოს (სისტემაში ატვირთოს) მისი რეპუტაციისა და საქმიანი გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაციაც.

3.17. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის ელექტრონული გარანტიის მოქმედების ვადა განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

3.18. ტექნიკური დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე.

3.19. მომსახურების გაწევა ხორციელდება ხელშეკრულების დადებიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

3.20. პრეტენდენტის მიერ რეკვიზიტები წარმოდგენილ უნდა იქნას შემდეგი სახით:

_ პრეტენდენტის სამართლებრივი ფორმა და დასახელება;
_ ხელმძღვანელის სახელი და გვარი;
_ პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი;
_ საიდენტიფიკაციო კოდი;
_ პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი;
_ ელექტრონული მისამართი;
_ მომსახურე ბანკის დასახელება, ბანკის კოდი და ანგარიშსწორების ანგარიში.

4. ხელშეკრულების პროექტი

ქ. თბილისი, ---------- 201--- წელი

ერთის მხრივ სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი"(შემდგომში „შემსყიდველი"), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის ---------- სახით და მეორეს მხრივ, ———————— (შემდგომში „მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის ———————— სახით, სახელმწიფო შესყიდვების კანონის, სატენდერო დოკუმენტაციისა წინადადების საფუძველზე, გამარტივებული ელქტრონული ტენდერის (SPA_____) ჩატარების შედეგად დებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და შესყიდვის ობიექტი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს „შემსყიდველის" მიერ 1.2. ქვეპუნქტში მითითებული ობიექტის შესყიდვა თანდართული პრეისკურანტის შესაბამისად.
1.2 შესყიდვის ობიექტია **მანქანების შეკეთება და ტექნიკური მომსახურება (CPV50112000).**

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს დღგ-ს ჩათვლით --- ლარს, (დღგ-ს გარეშე --- ლარი).
2.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების განხორციელებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.
2.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორება განხორციელდება სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის" საკუთარი სახსრებით.

3. ანგარიშსწორების ფორმა

3.1. მომსახურების ღირებულების ანაზღაურება მოხდება შემსყიდველის მიერ მოთხოვნილი და ფაქტიურად მიწოდებული მომსახურების ღირებულების მიხედვით, მიღება-ჩაბარების შესაბამისი დოკუმენტის საფუძველზე, საგადასახადო/საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.
3.2. წინასწარ გადახდის პირობები არ განიხილება.

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1. ,,მიმწოდებელს" და ,,შემსყიდველს" შორის ფორმდება მომსახურების მიწოდების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტი.

5. მომსახურების მიწოდების ადგილი და ვადა

5.1. მომსახურების მიწოდების ადგილია ----------.
5.2 ,,მიმწოდებელი“ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მომსახურებას ახორციელებს შემსყიდველის საჭიროებიდან გამომდინარე, შემსყიდველის მოთხოვნიდან --- სამუშაო დღის განმავლობაში.
5.3 მომსახურების მიწოდების საერთო ვადაა 20--- წლის ----დან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. ,,შემსყიდველი“ უფლებამოსილია:
ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;
ბ) მიწოდების დასრულებამდე გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან მისთვის საჭირო დოკუმენტაცია.
6.2. ,,შემსყიდველი“ ვალდებულია:
ა) უზრუნველყოს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;
ბ) უზრუნველყოს წარმომადგენლის გამოყოფა, რომელიც ზედამხედველობას გაუწევს ხელშეკრულების შესრულების მიმდინარეობის პროცესს.
6.3. ,,მიმწოდებელი“ უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
6.4. ,,მიმწოდებელი“ ვალდებულია:
ა) მომსახურების დაწყებამდე შეადგინოს დეფექტური აქტი, რომელშიც მითითებული იქნება დაზიანების დასახელება.
ბ) შეასრულოს ხელშეკრულების პირობები სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით ხელშეკრულებაში მითითებული ვადაში;
გ) უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულება ტექნიკური დავალების შესაბამისად;
დ) საკუთარი სახსრებით აღმოფხვრას აღმოჩენილი ხარვეზი.

7. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს განახორციელებს შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების დადების მომენტისათვის შესაბამისად განსაზღვრული პირი.
7.2. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

8.1. წინამდებარე ხელშეკრულება მოქმედებს 20--- წლის ------დან 20--- წლის ------- ჩათვლით.

9. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
9.2. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები „შემსყიდველისთვის“, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
9.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მეორე მხარისათვის წერილობითი გაფრთხილებიდან 15 სამუშაო დღის ვადაში.
9.4. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთი-ერთშეთანხმების საფუძველზე.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“ სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“	„მიმწოდებელი“ ----------
ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქ. №2, მე-5 სართული ტელ/ფაქსი: 2-60-19-15 სს „თიბისი ბანკის“ ვერის ფილიალი ბანკის კოდი TBCBGE22 ა/ა GE76TB7505936030100001 საიდენტიფიკაციო კოდი 205170036	
{სახელი და გვარი} გენერალური დირექტორი	{სახელი და გვარი} {თანამდებობა}

სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორსა“ და {მიმწოდებელს} {წელი} {რიცხვი} {თვე} გაფორმებული ხელშეკრულების დანართი №

6. დამატებითი ინფორმაცია

ტენდერის პროცედურებთან დაკავშირებით დამატებით ინფორმაციას გასცემს სატენდერო კომისიის აპარატის წევრი ბორის გაბიძაშვილი. ტელ: 599 549970, ელექტრონული მისამართი: **bgabidzashvili@esco.ge**

დაკავშირება უნდა მოხდეს ტელეფონზე და ელექტრონულ მისამართზე ყოველდღე 10:00 სთ-დან 18:00 სთ-მდე.